

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ჯგუფი ბანკი ქართუ

სარჩევი

ბმრდო

ხელმძღვანელობის კასუსისმგებლობის ანგარიში 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

1

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

2-3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი

4

კონსოლიდირებული ბალანსი

5

აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი

6

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი

7-8

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

9-58

ჯგუფი ბანკი ქართუ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასა

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე წარდგენილ დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამოიწილდეს იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა დახურული სააქციო საზოგადოება ქართუ ბანკისა ("ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიების ("ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ჯგუფი გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2009 წლის 10 აპრილს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ჩრდილელი
10 აპრილი 2009

გენერალური დირექტორი
გიორგი კვირიკაშვილი
10 აპრილი 2009

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ჯგუფი ბანკი ქართუს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ დახურული სააქციო საზოგადოება ქართუ ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების (“ჯგუფი”) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისს 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-გამარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანი წარდგენისათვის.

აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობის და ხელმძღვანელობის მიერ ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას და ასევე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საყურადღებო საკითხი

კვალიფიკაციის მიცემის გარეშე ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 24-ზე, რომელიც აღწერს ახლანდელ ცვალებადობას მსოფლიო და საქართველოს საფინანსო ბაზრებზე.

*10 აპრილი 2009
თბილისი, საქართველო*

ჯგუფი ბანკი ქართუ

მომზდა-ზარალის კონსოლიდირებული უწყისი
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	5, 26	50,941	41,117
საპროცენტო ხარჯი	5, 26	<u>(19,460)</u>	<u>(12,679)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მომტანი აქტივების გაუფასურების აღიარებამდე		31,481	28,438
თავდაპირველი აღიარების კორექტირება საპროცენტო სარგებლის მომტან აქტივებზე		-	(658)
შესაძლო გაუფასურების რეზერვის ფორმირება საპროცენტო სარგებლის მომტან აქტივებზე	6, 26	<u>(8,876)</u>	<u>(1,614)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		<u>22,605</u>	<u>26,166</u>
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით გახორციელებული ოპერაციებიდან	7	4,183	6,888
საკომისიო შემოსავალი	8, 26	7,192	7,442
საკომისიო ხარჯი	8	(3,176)	(1,993)
გაუფასურების რეზერვი გარანტიებზე და სხვა სხვა შემოსავალი	6 9, 26	<u>(290)</u> <u>3,215</u>	<u>(341)</u> <u>2,264</u>
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		11,124	14,260
საოპერაციო შემოსავალი		33,729	40,426
საოპერაციო ხარჯები	10, 26	<u>(19,805)</u>	<u>(15,125)</u>
მომზდა მოგების ბალანსხალის ბალანსამდე		13,924	25,301
მოგების საგადასახადო სარგებელი/(ხარჯი)	11	<u>780</u>	<u>(3,803)</u>
წმინდა მოგება		<u>14,704</u>	<u>21,498</u>
განაწილება:			
ბანკის აქციონერები		14,810	21,497
უმცირესობის წილი		<u>(106)</u>	<u>1</u>
		<u>14,704</u>	<u>21,498</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
 გიორგი ჩრდილელი
10 აპრილი 2009
თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორი
 გიორგი კვირიკაშვილი
10 აპრილი 2009
თბილისი, საქართველო

9-58 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ბალანსი
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
აქტივები:			
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	12	36,414	20,580
მოთხოვნები ბანკების მიმართ	13	210,123	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	14, 26	370,926	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	15	145	92
გუდვილი	16	-	5,246
ძირითადი საშუალებები	17	13,975	9,524
მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები		2,424	-
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები	11	277	-
სხვა აქტივები	18	2,579	2,477
		<u>636,863</u>	<u>391,855</u>
სულ აქტივები		636,863	391,855
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები:			
ვალდებულებები ბანკების მიმართ	19	25,275	6,184
კლიენტთა ანგარიშები	20, 26	255,378	70,357
რეზერვები	6	631	334
მიმდინარე მოგების საგადასახადო ვალდებულებები		-	836
გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულებები	11	-	503
სხვა ვალდებულებები	21	3,067	526
სუბორდინირებული სესხები	22, 26	228,039	203,346
		<u>512,390</u>	<u>282,086</u>
სულ ვალდებულებები		512,390	282,086
კაპიტალი:			
ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	23	54,716	54,716
დამატებითი შენატანი კაპიტალში		3,817	3,817
გაუნაწილებელი მოგება		65,236	50,426
		<u>123,769</u>	<u>108,959</u>
სულ ბანკის აქციონერთა კაპიტალი		123,769	108,959
უმცირესობის წილი		704	810
		<u>124,473</u>	<u>109,769</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		636,863	391,855

დირექტორთა საბჭოს სახელით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
 გიორგი ჩრდილელი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორი
 გიორგი კვირიკაშვილი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

9-58 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი
 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	კონვერტი- რებადი სესხების კაპიტალის კომპონენტი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ ბანკის აქციონერთა კაპიტალი	უმცირე- სობის წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2006		54,716	3,817	42,458	28,929	129,920	809	130,729
სესხების კონვერტირებადობის პირობის გაუქმება		-	-	(42,458)	-	(42,458)	-	(42,458)
წმინდა მოგება		-	-	-	21,497	21,497	1	21,498
31 დეკემბერი 2007		54,716	3,817	-	50,426	108,959	810	109,769
წმინდა მოგება/(ზარალი)		-	-	-	14,810	14,810	(106)	14,704
31 დეკემბერი 2008		54,716	3,817	-	65,236	123,769	704	124,473

დირექტორთა საბჭოს სახელით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
 გიორგი ჩრდილელი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორი
 გიორგი კვიციანი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

9-58 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წმინდა მოგება მოგების გადასახადამდე		13,924	25,301
კორექტირებები:			
შესაძლო გაუფასურების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მომტან აქტივებზე		8,876	1,614
შესაძლო გაუფასურების რეზერვი/(რეზერვის აღდგენა) სხვა ოპერაციებზე		(7)	175
გარანტიების რეზერვები		297	166
არარეალიზებული ზარალი/(მოგება) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		510	(4,028)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		1,082	822
გუდვილის გაუფასურება		5,246	2,719
ცვლილება დარიცხულ პროცენტებში, წმინდა		(154)	(1,733)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		29,774	25,036
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
მინიმალური სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(2,117)	3,036
მთხოვნები ბანკების მიმართ		(11,924)	1,885
კლიენტებზე გაცემული სესხები		(36,253)	(114,235)
სხვა აქტივები		464	(508)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):			
ვალდებულებები ბანკის მიმართ		18,424	5,620
კლიენტების ანგარიშები		184,862	(11,805)
სხვა ვალდებულებები		2,541	(51)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან გადასახადის გადახდამდე		185,771	(91,022)
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,260)	(3,459)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		182,511	(94,481)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(6,204)	(2,858)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		49	79
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შესყიდვა		(53)	-
დაფარვის ვადადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი		-	5,283
ფულადი სახსრების წმინდა (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(6,208)	2,504

ჯგუფი ბანკი ქართუ

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
სუბორდინირებული სესხი		24,617	76,986
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან		24,617	76,986
<i>ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი</i>		(617)	513
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		200,920	(14,991)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი	12	24,333	38,811
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლო	12	224,636	24,333

ჯგუფის მიერ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 18,558 ათასი და 49,885 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის მიერ 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 10,592 ათასი და 39,888 ათასი ლარი, შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
 გიორგი ჩრდილელი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორი
 გიორგი კვირიკაშვილი
 10 აპრილი 2009
 თბილისი, საქართველო

9-58 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ქართულ ლარში)

1. ორბანიზაცია

სს “ბანკი ქართუ” (შემდგომში “ბანკი”) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წელს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”). ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას გენერალური ლიცენზიის №229 საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, სესხების და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტებით სარგებლობა.

ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია ორი ფილიალი და სამი სერვის ცენტრი თბილისში, აგრეთვე ერთი სერვის ცენტრი გორში და ფილიალები ქუთაისსა და ბათუმში.

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ერთი ფილიალი და ორი სერვის ცენტრი თბილისში და ფილიალები ქუთაისსა და ბათუმში.

ბანკი არის დამფუძნებელი კომპანია ჯგუფი ბანკი ქართუსი (შემდგომში წოდებული, როგორც “ჯგუფი”). მას გააჩნია შემდეგი შვილობილი კომპანია, რომელიც კონსოლიდირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში:

სახელწოდება	საქმიანობის ადგილი	ბანკის მფლობელობის საპროცენტო წილი (%)		საქმიანობის ტიპი
		2008	2007	
სადაზღვევო კომპანია შპს ქართუ	საქართველო	69%	60%	დაზღვევა

სადაზღვევო კომპანია შპს ქართუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა 2001 წლის 13 სექტემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს დაზღვევა.

ბანკს ასევე გააჩნია წილი შპს ქართუ ბროკერში (100%) და შპს რეესტრი 2001-ში (60%), რომლებიც არ არიან გაერთიანებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ამგვარ კონსოლიდაციას არ ექნებოდა მნიშვნელოვანი გავლენა მთლიანობაში მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	31 დეკემბერი 2008, %	31 დეკემბერი 2007, %
პირველი დონის აქციონერი:		
შპს ქართუ ჯგუფი (საქართველო)	100%	25%
შპს ინტერსერვის	-	25%
სს ტრანსინვესტ	-	25%
სს იაგუნდი	-	25%
სულ	100%	100%

ბიძინა ივანიშვილი არის ძირითადი აქციონერი, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ოპერაციებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ 2009 წლის 10 აპრილს.

2. წარმომადგენლის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ჯგუფის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასსს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების კონვენციის შესაბამისად გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

ბანკი და მისი ადგილობრივი შვილობილი კომპანია თავიანთ ბუღალტრულ ჩანაწერებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწარმოებენ. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ბანკისა და მის მიერ კონტროლირებადი ერთეულის (შვილობილი კომპანიის) ფინანსურ ანგარიშგებებს ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლის არსებობა გულისხმობს ბანკის მიერ შვილობილი კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვას მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება ჯგუფის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ჯგუფის წევრებს შორის არსებული ტრანზაქციები, ნაშთები, შემოსავლები და ხარჯები იქვეითება კონსოლიდაციის დროს.

გუდვილი

კონსოლიდირების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი წარმოადგენს შესყიდვის ნარჩენი ღირებულების ნებისმიერი გადამეტების თანხას მყიდველი კომპანიის ხვედრით წილზე შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში, გარიგების თარიღით. გუდვილი თავდაპირველად აისახება როგორც აქტივი შექმნის ღირებულებით და შემდგომში ფასდება ნარჩენი ღირებულებით დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით,

ჯგუფის მიერ გუდვილის გაუფასურების შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ მაინც. აღიარებული გუდვილის გაუფასურების ზარალის გაუქმება არ ხორციელდება მომდევნო პერიოდში.

ინვესტიციის გაყიდვის შემთხვევაში, შესაბამისი გუდვილის ნაწილი უნდა იქნას გათვალისწინებული მოგებისა თუ ზარალის განსაზღვრისას.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ჯგუფის ბალანსზე ხორციელდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვების და რეალიზაციის ასახვა ხდება ანგარიშსწორების გახორციელების დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში სამართლიანი ღირებულებით აისახება გარიგების დადების მომენტიდან ანგარიშსწორების დღემდე, აღირიცხება ისევე, როგორც გათვალისწინებული ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებას სამართლიანი ღირებულებით ექვემდებარება, პლიუს ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური აქტივისა და ვალდებულების შესყიდვასა და გამოშვებაზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებისა მოგება-ზარალში ასახვით. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების შემდგომი შეფასების პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ბუღალტრულ პოლიტიკაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში და იმ ქვეყნების ბანკებში განთავსებულ სახსრებს, რომლებიც შედიან ეკონომიური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეგთო) 90 დღემდე საწყისი დაფარვის ვადით.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური რეზერვების თანხის გამოყენება ექვემდებარება შეზღუდვას და არ შედის ფულადი სახსრების ექვივალენტებში..

მოთხოვნები ბანკების მიმართ

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფი განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს სხვა ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება ყველანაირი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ჯგუფის მიერ ფიქსირებული დაფარვის ვადით გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება საბაზრო ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხი სამართლიან ღირებულებას, მაგალითად როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და კონსოლიდირებულ მოგება ზარალის უწყისში დანაკარგების ტიპის მიხედვით აისახება. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მოსალოდნელ დაფარვის ვადაზე დაყრდნობით. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების შესაძლო გაუფასურების დანაკარგის რეზერვთან მიმართებაში. სესხებისა და ავანსების ჩამოწერა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ წელიწადზე მეტ დროში არ მოხერხდა მათი ამოღება.

გაუფასურების რეზერვი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოადგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

ნარჩენი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც მენეჯმენტის განსჯით ადეკვატურია დანაკარგის უზრუნველსაყოფად. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ცალკეული ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე სარეზერვო ანგარიშის (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები), ან ჩამოწერის (ნარჩენი ღირებულებით ასახული აქტივები) შედეგად. მთლიანი გაუფასურების რეზერვი აკლდება აქტივებს, როგორც ეს ნაჩვენებია საბალანსო უწყისში. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ჯგუფი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მსესხებლის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ გაუფასურების განსაზღვრა საჭიროებს განსჯას. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღიარებული გაუფასურების თანხა საკმარისია რისკს დაქვემდებარებული აქტივებზე შესაძლო დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ჯგუფმა განიცადოს დანაკარგები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე აღიარებული გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა
- ჯგუფმა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის“ საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- ჯგუფმა ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ ჯგუფმა ან: (ა) გადასცეს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ჯგუფი აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ჯგუფი აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარება მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციებს კაპიტალში, რომლის შენარჩუნება განზრახულია განუსაზღვრელი ვადით. ასეთი ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და გადაფასების შედეგი, გარდა გაუფასურების რეზერვისა, უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მოგება/ზარალისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა, რომლებიც აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში, აისახება კაპიტალში. გაყიდვის შედეგად კაპიტალში ნაღიარები გადაფასების შედეგი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში. გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების დასადგენად ჯგუფი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისათვის, ჯგუფი სამართლიან ღირებულებას შეფასების მეთოდების საშუალებით ასახავს.

შეფასების მეთოდები მოიცავს საბაზრო გარიგებების მონაცემების გამოყენებას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, კარგად გათვითცნობიერებული და ამგვარ გარიგებაში მონაწილეობის სურვილის მქონე მხარეების შესახებ, ასევე ანალიტიკური ხასიათის სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების ანალიზს და ვარიაციული მოდელის გამოყენებას. თუ არსებობს შეფასების მეთოდი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ბაზარზე ინსტრუმენტების შესაფასებლად და თუ იყო ნაჩვენები, რომ ეს ტექნიკა უზრუნველყოფს სარწმუნო შეფასებას, რომელიც საბაზრო გარიგებებისათვის გამოიყენება, ჯგუფი ამ მეთოდს იყენებს.

გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული დივიდენდები კონსოლიდირებულ მოგება ზარალის უწყისში შედის სხვა შემოსავლებში.

იმ შემთხვევაში, თუ არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების დადგენა შეუძლებელია მართებულად, მათი აღიარება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით და შესყიდვის ღირებულებით გაუფასურების გარეშე.

როდესაც აშკარაა, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები გაუფასურდა, ხდება წინა პერიოდში კაპიტალში აღიარებული აკუმულირებული ზარალის ამოღება და მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში ასახვა. ეს ფინანსური აქტივები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვეითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	2%
ავეჯი და აღჭურვილობა	20%
მონაცემთა დამუშავების მოწყობილობა	20%
სხვა	14%-17%
არამატერიალური აქტივები	10%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აღემატება სამართლიან ღირებულებას გაყიდვის ხარჯების და არსებული ღირებულების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადაამტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ან გამოქვეითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვეითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე და შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის და აისახება საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი განსხვავებებისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმ ფარგლებში, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. ასეთი აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება აღიარებას, თუ დროებითი სხვაობა წარმოიშობა გუდვილიდან ან სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან ისეთ ტრანზაქციებში, რომლებიც არ ახდენს გავლენას საგადასახადო და საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რაც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და გარე საბალანსო ვალდებულებების რეზერვში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ჯგუფი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა არ არის ნაგარაუდები.

გამოქვითვადი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უტილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოიყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული მოგების აქტივები და მოგების ვალდებულებები გაიქვითება და საბალანსო ანგარიშგებაში აისახება წმინდად, თუ:

- ჯგუფს აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების აქტივის გაქვითვა მოგების ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული მოგების აქტივები და მოგების ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო უწყებამ დაუწესა ამავე საწარმოს.

საქართველოში ასევე არსებობს სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც აფასებენ ჯგუფის საქმიანობას. ეს გადასახადები საოპერაციო ხარჯების ნაწილადაა აღიარებული კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში.

ვალდებულებები ბანკების მიმართ, მომხმარებელთა ანგარიშები და სუბორდინირებული სესხი

ვალდებულებები ბანკების მიმართ, მომხმარებელთა ანგარიშები და სუბორდინირებული სესხი თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარებიან სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში, მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შედგენილი ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოშვებული შედგენილი ინსტრუმენტებში შემაჯავლი ნაწილები ცალკე კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გამოშვების დღეს ვალდებულებების კომპონენტის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი არაკონვერტირებადი ინსტრუმენტებისათვის ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით ამორტიზებული ღირებულებით აისახება როგორც ვალდებულება სანამ დაიფარება კონვერსიისას, ან გადაიხდება ინსტრუმენტის დაფარვის თარიღისათვის. კაპიტალის კომპონენტი განისაზღვრება შედგენილი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებიდან ვალდებულების კომპონენტის თანხის გამოქვითვით. იგი აღიარებას ექვემდებარება კაპიტალში მოგების გადასახადის ეფექტის გამოკლებით და შესაბამისად მისი შემდგომი შეფასება აღარ ხორციელდება.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება. აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელი უნდა იყოს საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები და აკრედიტივები

ჯგუფის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები და აკრედიტივები, წარმოადგენენ საკრედიტო ოპერაციების უზრუნველყოფას, რომლებიც ითვალისწინებენ გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევისათვის, თუ დებიტორი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას. ამგვარი ფინანსური გარანტიის კონტრაქტები და აკრედიტივები თავდაპირველად აღიარებას სამართლიანი ღირებულებით ექვემდებარება. შემდგომში, ისინი ფასდებიან თანხით, რომელიც აღემატება იმ (ა) თანხას, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით ბას 37 “რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების” შესაბამისად, და (ბ) თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას, ფინანსური გარანტიებიდან, ან აკრედიტივებიდან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი კონსოლიდირებულ ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნაგარაუდვეი.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარე ხარჯები, ბიზნეს კომბინაციების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

დამატებითი შენატანი კაპიტალში

დამატებითი შენატანი კაპიტალში წარმოადგენს იმ საწარმოთაგან მიღებული სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის თავდაპირველი აღიარების დისკონტირებას, რომელიც ჯგუფის ძირითადი აქციონერის კონტროლის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად არ ხორციელდება კაპიტალში დამატებითი შენატანის ხელშეორედ განსაზღვრა.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი უკავებდა თანამშრომლებს საპენსიო თანხას ხელფასიდან და რიცხავდა სახელმწიფო საპენსიო ფონდში 2008 წლის 1 იანვრამდე. ამასთან ასეთი საპენსიო სისტემა უზრუნველყოფს მიმდინარე შენატანების აღიარებას, როგორც პროცენტს თანამშრომლებისათვის მიმდინარე გადახდებიდან. ამგვარი ხარჯების აღიარება ხდებოდა იმ პერიოდისათვის, რომელშიც ხდებოდა ხელფასების გაცემა. პენსიაზე გასული თანამშრომლებისათვის პენსიის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო საპენსიო ფონდი. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო პროექტი გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდისა. გარდა ამისა, ჯგუფს არ გააჩნია პენსიაზე გასვლის შემდგომი ვალდებულება ან სხვა მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საკომისიო შემოსავლების აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევას.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისათვის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში როგორც საკურსო ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება ან ზარალი.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6670	1.5916
ლარი/1 ევრო	2.3648	2.3315

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და კონსოლიდირებულ ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ჯგუფი ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გააფლენა აქვს საანგარიშგებო თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ მოგებასა და ზარალზე პერიოდის ბოლოსათვის. ხელმძღვანელობა უწყვეტობის პრინციპით აფასებს დაშვებებსა და დასკვნებს. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

სესხების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღირების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და აგანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ჯგუფის მხრიდან ანარიცხების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას ეყრდნობა ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც უთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის საწინააღმდეგო ცვლილებაზე და ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებზე, რომელიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს აქტივებზე განცდილ ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და გაუფასურების ობიექტური საფუძვლით, რომელიც საერთოა სესხების ჯგუფისათვის. ჯგუფი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და ასწორებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს ამ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფს არ შეუძლია გაითვალისწინოს რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის აღექვატურობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს დადგენილ თანხას, რომლითაც იგი გაიცვლება მოსურვე მხარეებს შორის გარდა იძულებითი, ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ კვლირებული საბაზრო ღირებულება ხელმისაწვდომია ინსტრუმენტისათვის, სამართლიანი ღირებულება იანგარიშება საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ ჩანს ბაზრიდან, ან მისი აღება შეუძლებელია საბაზრო ფასებიდან სამართლიანი ღირებულება დგინდება სხვა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მართებულია თითოეული პროდუქტისა და ფასის დადგენის მოდელისათვის, რომელიც იყენებს ფინანსურ თეორიებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდოლოგიას. ფასის დადგენის მოდელი ითვალისწინებენ ფასიანი ქაღალდების კონტრაქტის პირობებს და შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, ცვალებადობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო განაკვეთი. იქ სადაც ბაზარზე დაფუძნებული პარამეტრები არ არსებობს ხელმძღვანელობა დაადგენს ამ პარამეტრის შეფასების საუკეთესო შედეგს იმის გათვალისწინებით, თუ ინსტრუმენტის რა ფასი დადგინდებოდა ბაზარზე. ამ მიდგომის განხორციელებისას გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს: სარწმუნო განსახილველ მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციის მეთოდებს. თავდაპირველი აღირებისას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის ტრანზაქციის ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე. ნებისმიერი სხვაობა ტრანზაქციის ფასსა და ღირებულებას შორის, რომელიც შეფასების ტექნიკას ეფუძნება არ აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში თავდაპირველი აღიარებისას. შემდგომი მოგება და ზარალი აისახება თუ იგი წარმოიშობა ფაქტორში ცვლილებების შედეგად, რომლებსაც ბაზარზე ითვალისწინებენ ფასის დადგენისას.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებასთან დაკავშირებული ბუღალტრული დაშვებები, იმ შემთხვევაში როდესაც საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს შეფასების არასაწმუნობის მთავარ წყაროს, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ იგი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებს საპროცენტო განაკვეთთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან, შეფასების კორექტირებასა და ტრანზაქციის სპეციფიურ მახასიათებლებთან დაკავშირებით და (II) შეფასებისას ცვლილების აღიარებას ექნება გავლენა აქტივებზე ბალანსში და მოგება-ზარალი, რომელიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა დაშვებები საპროცენტო განაკვეთთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან და შეფასების კორექტირებასთან დაკავშირებით, ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს კვტირებული საბაზრო ფასები, როგორც დიდ ასევე პატარა ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ჯგუფის წარმოდგენილ წმინდა მოგებაზე.

გუდვილი

გუდვილი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შესყიდვის დამატებითი ხარჯია. შესყიდული ბიზნესების აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საჭიროებს ხელმძღვანელობის განსჯას, მაგალითად იმ ფინანსური აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელთაც არ გააჩნია კვტირებული ფასი და იმ არა-ფინანსურ აქტივებზე, რომელთა შეფასება ასახავს ბაზრის მდგომარეობას. სხვაობა სამართლიან ღირებულებებში გამოიწვევს ცვლილებას წარმოქმნილ გუდვილსა და შესყიდვის ობიექტის შემდგომ მუშაობაში. გუდვილი არ ექვემდებარება ამორტიზაციას, მაგრამ მოწმდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად გაუფასურების თვალსაზრისით, ისეთ შემთხვევაში თუ მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს გაუფასურებაზე.

გაუფასურების შემოწმების მიზნით ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული გუდვილი ნაწილდება ფულის გენერირების ჯგუფის თითოეულ ერთეულზე ან ფულის გენერირების ერთეულთა ჯგუფზე, რომლებმაც მოგება უნდა მიიღონ კომბინაციის შედეგად. გუდვილის გაუფასურების შემოწმება გულისხმობს ფულის გენერირების ერთეულის ან ფულის გენერირების ერთეულთა ჯგუფის საბალანსო ღირებულებების შედარებას მის აღდგენით ღირებულებასთან. აღდგენითი ღირებულება აღემატება ერთეულის სამართლიან ღირებულებას და მის გამოყენებულ ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება ფულის გენერირების ერთეულის გაყიდვის შედეგად კარგად გათვითცნობიერებულ და ამგვარ გარიგებაში მონაწილეობის სურვილის მქონე მხარეებს შორის განხორციელებული გარიგებისას.

გაუფასურების შემოწმება მემკვიდრეობით მოიცავს განსასჯელ საკითხებს: ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზების მომზადება იმ პერიოდებისათვის, რომლებიც მენეჯმენტისადმი ანგარიშგების ჩვეულებრივ მოთხოვნის საზღვრებს სცილდება; ბიზნესის შესაბამისი დისკონტის კოეფიციენტის შეფასება; ფულის გენერირების ერთეულების სამართლიანი ღირებულების შეფასება; და თითოეული ბიზნესის ცალკეული აქტივების შეფასება, რომელთა გუდვილი ექვემდებარება გადახედვას.

გუდვილის საბალანსო ღირებულება 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ნულ და 5,246 ათას ლარს, შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა და ცვეთას და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის მომავალი განაკვეთის კორექტირება.

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება

მიმდინარე წელს ჯგუფმა მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შეესაბამება მის ოპერაციებს და ძალაშია 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკაში, რაც გავლენას ახდენს მიმდინარე წელს წარმოდგენილ თანხებზე.

ბას 1 “კაპიტალის განმარტებები”-ის ცვლილებები - 2005 წლის 18 აგვისტოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ბას 1-ის ცვლილებები, რომლებიც მოითხოვს გარკვეული განმარტებების გაკეთებას საწარმოს მიზნებთან, პოლიტიკასთან და კაპიტალის მართვის პროცესთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის, როგორც ამას შესწორებული ბას 1 მოითხოვს.

ბას 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარმოდგენა”, სახელწოდებით „ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია” – 2008 წლის 13 ოქტომბერს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ბას 39-ის და ფასს 7-ის შესწორებები, რომლებიც არადერივატიული ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის ნებას იძლევიან (გარდა მოგებისა და ზარალის უწყისში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების ოფციის შესაბამისად) სამართლიანი ღირებულებიდან მოგებისა და ზარალის კატეგორიაში და საშუალებას იძლევა განხორციელდეს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულიდან შესხებისა და მოთხოვნების კატეგორიებში გარკვეულ გარემოებებში. ფასს 7-ის შესწორებას შემოაქვს დამატებითი წარმოდგენის მოთხოვნა, თუ საწარმომ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ბას 39-ისა შესაბამისად მოახდინა. შესწორებები ძალაშია 2008 წლის 13 ოქტომბრიდან და გარკვეულ გარემოებებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას 2008 წლის 1 ივლისიდან.

გამოცემული და ჯერ არ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ხელმოწერის დღისათვის, გარდა ჯგუფის მიერ მიღებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისა, შემდეგი ინტერპრეტაციები იქნა გამოცემული, თუმცა არ იყო ძალაში.

იმკ 9 - “ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადამოწმება”, რომელიც მოითხოვს რომ არ უნდა მოხდეს იმის შეფასება უნდა გამოიყოს, თუ არა ჩართული ფინანსური ინსტრუმენტები მთავარი კონტრაქტისაგან თავდაპირველი აღიარებისას, თუ კონტრაქტში შევიდა ცვლილებები. იმკ 9-ის მიღებას გავლენა არ ჰქონია ჯგუფში კონსოლიდირებულ მოგება-ზარალზე, ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფასს 8 – 2006 წლის დეკემბერში ბასსს-მ გამოსცა ფასს 8 „საოპერაციო სეგმენტი“. იგი ჩაენაცვლება ბას 14 „სეგმენტის ანგარიშგება“ 2009 წლის იანვრიდან დაწყებული ანგარიშგების პერიოდისათვის. ფასს 8 მოითხოვს საწარმოს მიერ სეგმენტური ანალიზის ანგარიშგებას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ინფრომაციაზე დაყრდნობით. ხელმძღვანელობა ამჟამად აფასებს ფასს 8-ის მიღების გავლენას.

ბას 1 – 2006 წლის 6 სექტემბერს ბასსს-მ გამოსცა ბას 1-ის ცვლილებები, რომელიც ცვლის არასაკუთრებრივ ცვლილებებს კაპიტალში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებში, მაგრამ არ საჭიროებს სახელის შეცვლას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ბას 1-ის ცვლილება ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

ბას 23 – 2007 წლის მარტში ბასსს-მ გამოსცა შეცვლილი ბას 23 „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“. მთავარი ცვლილება მდგომარეობს საკრედიტო ხარჯების დაუყოვნებლივ აღიარების ოფციის ამოღებაში, როგორც სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯებთან დაკავშირებული ხარჯებისა, რომლებიც ეხება აქტივებს, რომელთა გაყიდვას, ან გამოყენებას სჭირდება დიდი დრო. საწარმო ასევე ვალდებულია მოახდინოს, როგორც ამგვარი აქტივების ხარჯის ნაწილის გადაყვანა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალში. სტანდარტი ეხება კვალიფიცირებად აქტივებთან დაკავშირებულ სესხით სარგებლობის დანახარჯებს, რომელთა კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად დადგენილია 2009 წლის 1 იანვარი.

ბას 27 – 2008 წელს სტანდარტი შეიცვალა, როგორც ბიზნეს კომბინაციის პროექტის მეორე ნაწილი. პროექტის ეს ფაზა ერთობლივად განხორციელდა აშშ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოსთან ერთად. ცვლილება პირდაპირ უკავშირდებოდა არაკონტროლირებად წილს და შეიღობილ კომპანიაში კონტროლის დაკარგვის ანგარიშგებას. პროექტის მეორე ფაზის დასასრულს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა შეცვლილი ბას 27-ი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება № 160 „არაკონტროლირებადი წილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში“ შეცვლილი ფასს 3-ის ბიზნეს კომბინაციებისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება №141 (შეიცვალა 2007 წ.) „საწარმოთა გაერთიანება“-ის პარალელურად. შეცვლილი სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნას 2009 წლის 1 ივლისით დაწყებული პერიოდისათვის. ასევე ნებადართულია ადრე გამოყენებაც. თუმცა საწარმომ 2009 წლის 1 ივლისამდე არ უნდა გამოიყენოს შესწორებები თუ ასევე არ იყენებს ფასს 3-ს. (შეიცვალა 2008 წელს).

ფასს 3 – “საწარმოთა გაერთიანება” 2008 წლის 10 იანვარს, ბასსს-მ გამოსცა ბას 3 „საწარმოთა გაერთიანება“-ის ცვლილება, რომელიც არკვევს და ცვლის საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეულ ელემენტებს, მათ შორის პირობითი გადახდების აღრიცხვას, საფეხურებრივ შესყიდვას და არამატერიალურ აქტივებს და ასევე ამ სტანდარტის მოცულობას. ფასს 3-ის შესწორება ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

იმე 11, ფასს 2 – „ჯგუფისა და ხაზინის წილობრივი გადახდის ოპერაციები“ გამოიცა 2007 წლის ნოემბერში. საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ საკუთარ აქციების შესყიდვას, ან რომელთა აქციონერებიც ყიდულობენ აქციებს საწარმოში თანამშრომლების წახალისების მიზნით უნდა აღიარონ ეს წახალისებები კაპიტალით განსაზღვრული წილობრივი გადახდის საფუძველზე. ეს პრინციპი ეხება ასევე შვილობილი კომპანიების აღრიცხვიანობას. ინტერპრეტაციები ეფექტურია 2008 წლის 1 მარტით დაწყებული სააღრიცხვო წლიდან.

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

რეკლასიფიკაცია

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას შემდეგი ტიპის რეკლასიფიკაცია ჩაუტარდა, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო 2008 წლის 31 დეკემბრის და ამავე დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილთან ვინაიდან მიმდინარე წლის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უკეთ წარადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას.

რეკლასიფიკაციის ბუნება	თანხა	ბალანსი/მოგება-ზარალის უწყისის მუხლი წინა ანგარიშიდან	ბალანსი/მოგება-ზარალის უწყისის მუხლი მიმდინარე წლის ანგარიშიდან
ანგარიშწორებები ფულადი გადარიცხვებით	168	სხვა აქტივები	მოთხოვნები ბანკების მიმართ
წინა პერიოდებში ჩამოწერილი კლიენტებზე გაცემული სესხების აღდგენა	786	გაუფასურების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	სხვა შემოსავალი
წინა პერიოდებში ჩამოწერილი სხვა აქტივების აღდგენა	241	გაუფასურების რეზერვის აღდგენა სხვა ოპერაციებზე	სხვა შემოსავალი

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ აქტივებზე		
- საპროცენტო შემოსავლები გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	13,942	7,291
- საპროცენტო შემოსავლები არა გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	36,999	33,826
სულ საპროცენტო შემოსავალი	50,941	41,117
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზირებული ღირებულებით ასახულ აქტივებზე შეადგენს:		
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	49,152	40,290
საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე	1,738	779
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადადღე ფლობილ ინვესტიციებზე	51	48
სულ საპროცენტო შემოსავლები ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	50,941	41,117
საპროცენტო ხარჯები მოიცავს:		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ვალდებულებებზე	(19,460)	(12,679)
სულ საპროცენტო ხარჯი	(19,460)	(12,679)
საპროცენტო ხარჯები ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ვალდებულებებზე შეადგენს:		
პროცენტი სუბორდინირებულ სესხებზე	(16,927)	(11,307)
პროცენტი კლიენტთა ანგარიშებზე	(1,510)	(1,216)
პროცენტი ბანკების დეპოზიტებზე	(1,023)	(156)
სულ საპროცენტო ხარჯები ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(19,460)	(12,679)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მომტანი ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ფორმირებამდე	31,481	28,438

6. გაუფასურების დანაკარგების და სხვა რეზერვები

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე იყო შემდეგნაირი:

	მოთხოვნები ბანკების მიმართ	კლიენტებზე გაცემული სესხები	სულ
31 დეკემბერი 2006	17	9,540	9,557
(რეზერვის აღდგენა)/რეზერვი	(17)	1,631	1,614
აქტივების ჩამოწერა	-	(11)	(11)
31 დეკემბერი 2007	-	11,160	11,160
რეზერვი	-	8,876	8,876
აქტივების ჩამოწერა	-	(170)	(170)
31 დეკემბერი 2008	-	19,866	19,866

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა გარესაბაღანსო და სხვა ოპერაციებზე იყო შემდეგნაირი:

	სხვა აქტივები	გარანტიები	სულ
31 დეკემბერი 2006	63	168	231
რეზერვი	175	166	341
აქტივების ჩამოწერა	(184)	-	(184)
31 დეკემბერი 2007	54	334	388
(რეზერვის აღდგენა)/რეზერვი	(7)	297	290
აქტივების ჩამოწერა	(28)	-	(28)
31 დეკემბერი 2008	19	631	650

აქტივების გაუფასურების რეზერვი იქვითება შესაბამისი აქტივებიდან. რეზერვები გარანტიებზე აღიარებას ვალდებულებებში ექვემდებარება.

7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან შეადგენს:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	4,693	2,860
უცხოური ვალუტის გადაფასების შედეგი, წმინდა	(510)	4,028
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	4,183	6,888

8. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებს შეადგენს:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი:		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	3,086	2,903
დოკუმენტური ოპერაციები	1,453	1,217
ანგარიშსწორებები	1,149	1,072
ფულადი ოპერაციები	662	785
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები	505	942
სხვა	337	523
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	7,192	7,442
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:		
პლასტიკური ბარათებით გაწეული მომსახურება	(2,004)	(1,518)
ანგარიშსწორებები	(564)	(275)
დოკუმენტური ოპერაციები	(292)	(113)
ფულადი ოპერაციები	(64)	(27)
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები	(6)	(20)
სხვა	(246)	(40)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	(3,176)	(1,993)

9. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მიღებული ჯარიმები და საურავები	1,118	557
შემოსავალი VISA-დან	1,070	-
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	489	1,027
დაზღვევის პრემია	132	397
სხვა	406	283
სულ სხვა შემოსავლები	3,215	2,264

10. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	7,452	4,944
ერთიანი სოციალური გადასახადი	-	903
გუდვილის გაუფასურება	5,246	2,719
ცვეთა და ამორტიზაცია	1,082	822
საოპერაციო ლიზინგი	951	820
პროფესიული მომსახურება	715	355
საკომუნიკაციო ხარჯები	534	303
საფოსტო ხარჯები	357	309
დაცვის ხარჯები	356	310
ძირითადი საშუალებების მოვლა-შეკეთება	340	309
გადასახადები მოგების გადასახადის და დღგ-ს გამოკლებით	308	262
წარმომადგენლობითი ხარჯები	250	131
სარეკლამო ხარჯები	216	95
კომუნალური ხარჯები	194	146
ტრენინგების ხარჯები	149	107
მივლინების ხარჯები	72	90
საქველმოქმედო და სასპონსორო ხარჯები	19	1,003
სხვა ხარჯები	1,564	1,497
სულ საოპერაციო ხარჯები	19,805	15,125

11. მოგების გადასახადი

ჯგუფი საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოვიქვითვისა და გადასახადისაგან თავისუფალი შემოსავლებიდან გამომდინარე, ჯგუფი განიცდის მუდმივ საგადასახადო განსხვავებებს.

გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას (ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის) და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და აგრეთვე გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

2008 და 2007 წლების მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან საგადასახადო მოგებაზე.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებით სხვაობებს შეადგენს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
დასაქვითი დროებითი სხვაობები:		
გულვილი	11,612	6,366
სულ დასაქვითი დროებითი სხვაობები	11,612	6,366
დასაბეგრი დროებითი სხვაობები:		
ძირითადი საშუალებები	(12,668)	(7,831)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,762)	(1,762)
სხვა ვალდებულებები	(3)	-
რეზერვები	72	(124)
სულ დასაბეგრი დროებითი სხვაობები	(14,361)	(9,717)
წმინდა გადავადებული დროებითი სხვაობა	(2,749)	(3,351)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		
კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით (15%)	(412)	(503)
ზარალის გადატანა მომავალ პერიოდში	689	-
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	277	(503)

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2008 და 2007 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მდგომარეობით, აიხსნება შემდეგნაირად:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	13,924	25,301
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	2,089	3,795
საგადასახადო განაკვეთის ცვლილებების გავლენა	-	1,070
მუდმივი ცვლილებების საგადასახადო ეფექტი	(2,869)	(1,062)
მოგების საგადასახადო (სარგებელი)/ხარჯი	(780)	3,803
მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი	-	4,080
გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი	(780)	(277)
მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	(780)	3,803
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	2008	2007
პერიოდის დასაწყისი	(503)	(780)
კლება გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებში კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში ასახული პერიოდისათვის	780	277
პერიოდის დასასრული	277	(503)

12. ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ფულადი სახსრები	22,736	8,495
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	<u>13,678</u>	<u>12,085</u>
სულ ფულადი სახსრები და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	<u>36,414</u>	<u>20,580</u>

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში (“სებ”) არსებული ნაშთები მოიცავდა 8,239 ათას და 6,122 ათას ლარს, შესაბამისად, რაც წარმოადგენდა სავალდებულო მინიმალურ სარეზერვო დეპოზიტებს “სებ”-ში.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,414	20,580
მოთხოვნები ბანკების მიმართ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში (შენიშვნა 30)	<u>196,461</u>	<u>9,875</u>
მინუს სავალდებულო მინიმალური რეზერვი და უცხოური ვალუტის ნაშთები სებ-ში	<u>(8,239)</u>	<u>(6,122)</u>
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	<u>224,636</u>	<u>24,333</u>

13. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	129,367	2,483
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	<u>80,756</u>	<u>9,136</u>
სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ	<u>210,123</u>	<u>11,619</u>

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთებზე 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა მოთხოვნებზე ბანკების მიმართ შეადგინა 1 ათასი და 7 ათასი ლარი, შესაბამისად.

2008 წლის 31 დეკემბრს მდგომარეობით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფს გააჩნდა 106,416 ათასი ლარის მოთხოვნა ერთი ბანკის მიმართ, რომელმაც ინდივიდუალურად გადააჭარბა ჯგუფის კაპიტალის 10%-ს.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ შესაბამისად შეადგინა 210,123 ათასი და 11,619 ათასი ლარი.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსი ბანკების მიმართ მოთხოვნებში შესაბამისად მოიცავს ჯგუფის მიერ პლასტიკური ბარათებით განხორციელებულ ოპერაციებზე განთავსებულ საგარანტიო დეპოზიტებს 3,256 ათასი და 1,998 ათასი ლარის ოდენობით.

14. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
კლიენტებზე გაცემული სესხები დარიცხული პროცენტი	385,314 <u>5,478</u>	349,061 <u>4,416</u>
გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	<u>(19,866)</u>	<u>(11,160)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>370,926</u>	<u>342,317</u>

2008 და 2007 წლების მდგომარეობით გაუფასურების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გირაოთი უზრუნველყოფილი სესხები სესხების თანხების მიხედვით და არა უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულებით:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ძირითადი საშუალებებით, მოწყობილობებით და მასალებით უზრუნველყოფილი სესხები	352,729	322,462
სუბორდინირებული სესხებით უზრუნველყოფილი სესხები	11,908	4,214
ძვირფასი მეტალებით უზრუნველყოფილი სესხები	37	329
სხვა უზრუნველყოფა	2,003	12,143
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	<u>4,249</u>	<u>3,169</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>370,926</u>	<u>342,317</u>

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ანალიზი დარგების მიხედვით:		
მშენებლობა	116,803	72,681
მრეწველობა	102,535	131,894
ვაჭრობა და მომსახურება	122,307	100,388
ფინანსური პირები	24,089	23,691
ენერჯეტიკა	361	8,244
სხვა	<u>4,831</u>	<u>5,419</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>370,926</u>	<u>342,317</u>

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
სამომხმარებლო სესხები	11,760	5,431
იპოთეკური სესხები	1,727	1,011
სვა	10,602	17,249
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	24,089	23,691

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა 10 და 11 კლიენტზე გასცა სესხები 100,843 ათასი და 228,502 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, რაც ჯგუფის კაპიტალის 10%-ს აღემატებოდა.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე შესაბამისად შეადგინა 370,926 ათასი და 342,317 ათასი ლარი. 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ კლიენტებისათვის გამოყოფილმა გამოუყენებელ კრედიტებსა და ოვადრაფტებზე შესაბამისად შეადგინა 7,453 ათასი და 10,874 ათასი ლარი.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მოიცვა 25,881 ათასი და 5,046 ათასი ლარი, შესაბამისად, რომელთა პირობები გადახედვილ იქნა. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა ან გაუფასურებულად, ან ვადაგადაცილებულად.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მოიცვა სესხები 170,172 ათასი და 101,490 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც ინდივიდუალურად განისაზღვრენ გაუფასურებულად.

15. ბასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008		31 დეკემბერი 2007	
	წილი	სამართლიანი ღირებულება	წილი	სამართლიანი ღირებულება
კაპიტალის ფასიანი ქაღალდები:				
შპს ქართუ ბროკერი	100%	35	100%	35
შპს რეესტრი 2001	60%	15	60%	15
გაერთიანებული ბილინგ-ცენტრი	10%	53	-	-
თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა	8%	39	8%	39
ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტორი TCISE პლუსი	9%	3	9%	3
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები		145		92

16. ბუღვლი

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წლის დასაწყისში გაუფასურების რეზერვი	5,246 (5,246)	7,965 (2,719)
პერიოდის ბოლოს	-	5,246

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების დანაკარგები აისახება ბანკის ფილიალების მიერ კლიენტებზე გაცემულ აღუდგენელ სესხებზე რომლებიც სს აბსოლუტბანკის შესყიდვის შედეგად წარმოიქმნა.

17. ძირითადი საშუალებები

	შენიშნული სხვა უძრავი ქონება	ავეჯი და მოწყობი- ლობები	მონაცემთა დამუშავების მოწყობი- ლობა	აქირავენი ქონების გაუმჯობესება და სხვა	დაუმთავრე- ელი მშენებლობა	სულ
თავდაპირველი ღირებულებით						
31 დეკემბერი 2006	2,361	2,665	1,820	1,076	1,816	9,738
ზრდა	-	252	604	69	1,794	2,719
გადატანა	-	(132)	(286)	(201)	(2)	(621)
რეალიზაცია	-	158	230	-	(388)	-
31 დეკემბერი 2007	2,361	2,943	2,368	944	3,220	11,836
ზრდა	-	289	428	190	4,594	5,501
გადატანა	-	(89)	(52)	-	(98)	(239)
რეალიზაცია	2,584	985	4	331	(3,904)	-
31 დეკემბერი 2008	4,945	4,128	2,748	1,465	3,812	17,098
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2006	134	735	935	383	-	2,187
წლის დარიცხვა შემცირება რეალიზაციის შედეგად	67	299	241	60	-	667
	-	(103)	(286)	(153)	-	(542)
31 დეკემბერი 2007	201	931	890	290	-	2,312
წლის დარიცხვა შემცირება რეალიზაციის შედეგად	99	388	335	88	-	910
	-	(48)	(51)	-	-	(99)
31 დეკემბერი 2008	300	1,271	1,174	378	-	3,123
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,645	2,857	1,574	1,087	3,812	13,975
2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,160	2,012	1,478	654	3,220	9,524

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად საშუალებებმა მოიცვა სრულ ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები 599 ათასი და 487 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

18. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
სხვა ფინანსურ აქტივები:		
გადახდილი ავანსები	351	697
დებიტორები	454	388
გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	(19)	(54)
სხვა არაფინანსური აქტივები:		
არამატერიალური აქტივები	1,669	1,138
საგადასახადო ანგარიშსწორება მოგების გადასახადის გამოკლებით	32	55
მარაგები	15	41
დასაკუთრებული აქტივები	-	7
სხვა	77	205
სულ სხვა აქტივები	2,579	2,477

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა სხვა აქტივებზე 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შენიშვნაში №6.

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2006	1,608
ზრდა	139
რეალიზაცია	(125)
31 დეკემბერი 2007	1,622
ზრდა	703
რეალიზაცია	(29)
31 დეკემბერი 2008	2,296
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2006	454
წლის დარიცხვა	155
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(125)
31 დეკემბერი 2007	484
წლის დარიცხვა	172
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(29)
31 დეკემბერი 2008	627
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2008	1,669
31 დეკემბერი 2007	1,138

19. ვალდებულებები ბანკების მიმართ

ვალდებულებები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ამორტიზირებული ღირებულებით ასახული:		
სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები	153	621
ბანკებისა და სხვა ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები:		
ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (the “EBRD”)	13,703	-
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (the “BSTDB”)	8,660	2,412
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2,759	1,637
ბანკებისა და სხვა ფინანსური ორგანიზაციების ვადიანი დეპოზიტები	-	1,514
	<hr/>	<hr/>
სულ ვალდებულებები ბანკების მიმართ	<u>25,275</u>	<u>6,184</u>

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები ბანკების მიმართ შესაბამისად შეიცავს დარიცხული პროცენტებს 750 ათასი და 83 ათასი ლარის ოდენობით.

2008 წლის 20 დეკემბერს ჯგუფმა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება 5,000 ათასი აშშ დოლარზე, რომლის გადახდის ვადა 2013 წლის 14 ივლისია. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა სესხიდან აითვისა 1 000 აშშ დოლარი (1,667 ათასი ლარი).

2008 წლის 20 დეკემბერს ჯგუფმა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება 7,000 ათასი აშშ დოლარზე (11,669 ათას ლარზე), რომლის გადახდის ვადა 2013 წლის 14 ივლისია. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ათვისებული აქვს სესხის სრული თანხა.

2008 წლის 13 თებერვალს ჯგუფმა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულებას 5,000 აშშ დოლარზე (8,335 ათასი ლარი), რომლის დაფარვის ვადაა 2009 წლის ბოლო. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აითვისა სესხის სრული თანხა.

2007 წლის 19 სექტემბერს ჯგუფმა საბერძნეთში, სალონიკში რეგისტრირებულ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას 1,500 ათას აშშ დოლარზე (2,387 ათასი), რომლის დაფარვის ვადაა 2008 წლის ბოლო. 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აითვისა სესხის მთლიანი თანხა.

ჯგუფი ვალდებულია შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში ჩადებულ ფინანსურ კოეფიციენტებს ბანკების მიმართ ზემოთ ხსენებულ ვალდებულებაზე.

2007 წლის 20 მარტს ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რომელსაც წინ უძღოდა ხელშეკრულება განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან რის შედეგადაც ეს თანხები ურბანული განვითარების პროექტის ფარგლებში საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსდა. სესხის ძირითადი თანხები გადახდილ უნდა იქნას შვიდ ტონა წლიდან 2010 წლის აგვისტოს ბოლოდან დაწყებული და ეს პროცესი უნდა დასრულდეს 2016 წლის აგვისტოში.

20. კლიენტთა ანგარიშები

კლიენტთა ანგარიშები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ამორტიზებული ღირებულებით ასახული:		
ვალიანი დეპოზიტები	22,694	14,492
მოთხოვნისთანავე გასანაღდელებელი თანხები	232,684	55,865
სულ კლიენტთა ანგარიშები	255,378	70,357

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 313 ათასი და 154 ათასი ლარი.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშებმა შეადგინა 2,741 ათასი და 945 ათასი ლარი, შესაბამისად და წარმოდგენილ იქნა როგორც გაცემული აკრედიტივების და სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებების უზრუნველყოფა. 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშებმა შეადგინა 8,934 ათასი და 2,813 ათასი ლარი შესაბამისად და წარმოდგენილ იქნა გაცემული გარანტიების უზრუნველყოფად.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთი კლიენტის ანგარიშებზე კლიენტის მიმართ ვალდებულებამ შეადგინა 195,323 ათასი (76%) და 18,662 ათასი ლარი (27%), შესაბამისად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 195,323 ათასი ლარის ვალდებულება კლიენტის მიერ წარმოდგენილი ჯგუფის დაკავშირებული მხარის მიერ (შენიშვნა 26) განთავსდა მოკლევადიან ბანკთაშორის დეპოზიტებზე და მიმდინარე ანგარიშებზე. (შენიშვნა 13).

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ფიზიკური პირები	218,377	38,020
ვაჭრობა და მომსახურება	9,037	8,019
ქველმოქმედება	4,706	1,717
მრეწველობა და მეტალურგია	2,699	1,158
მშენებლობა	1,721	3,385
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,636	1,422
სოფლის მეურნეობა	466	1,274
ენერგეტიკა	119	1,042
სხვა	16,617	14,320
სულ კლიენტთა ანგარიშები	255,378	70,357

21. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
კრედიტორები	2,140	288
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
გადახსნადები მოგების გადახსნადის გამოკლებით	8	-
სხვა	919	238
სულ სხვა ვალდებულებები	3,067	526

22. სუბორდინირებული სესხები

	დაფარვის ვადა წელი	საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ფინ სერვისი XXI	9-თებ-12	9%	16,761	16,003
ფინ სერვისი XXI	13-დეკ-2011	9%	16,744	15,987
ფინ სერვისი XXI	22-ივნ-2014	9%	16,682	15,919
ფინ სერვისი XXI	1-ნოემბ-14	9%	8,397	8,017
ფინ სერვისი XXI	11-მაისი-12	9%	8,376	7,997
ფინ სერვისი XXI	12-ივლ-14	9%	8,374	7,995
ფინ სერვისი XXI	17-ივლ-14	9%	8,364	7,985
ფინ სერვისი XXI	25-ოქტ-2011	9%	8,347	7,970
ფინ სერვისი XXI	27-ნოემბ-2011	9%	8,347	7,970
ფინ სერვისი XXI	26-აპრ-12	9%	8,345	7,968
ფინ სერვისი XXI	26-ივნ-15	9%	8,345	-
ფინ სერვისი XXI	28-ივნ-14	9%	8,341	7,964
ფინ სერვისი XXI	26-სექ-14	9%	7,511	7,171
ფინ სერვისი XXI	24-აგვ-14	9%	6,680	6,377
ფინ სერვისი XXI	31-იანვ-15	9%	6,668	-
ფინ სერვისი XXI	24-დეკ-14	9%	5,010	4,783
ფინ სერვისი XXI	28-დეკ-2011	9%	5,005	4,778
ფინ სერვისი XXI	20-სექ-14	9%	4,179	3,990
ფინ სერვისი XXI	30-მარტი-2010	2%	-	7,959
			160,476	146,833
შპს ინტერ კონსალტინგ პლიუსი	22-ივნ-2014	9%	16,682	15,919
შპს ინტერ კონსალტინგ პლიუსი	17-ოქტ-2025	9%	11,678	11,143
შპს ინტერ კონსალტინგ პლიუსი	2-ოქტ-14	9%	8,341	-
შპს ინტერ კონსალტინგ პლიუსი	2-ოქტ-14	9%	8,341	-
შპს ინტერ კონსალტინგ პლიუსი	30-მარტი-2010	2%	-	7,959
			45,042	35,021
შპს ჯორჯიან პოლდინგ	22-ივნ-2014	9%	16,682	15,919
შპს კრისტა ენტერპრაიზის	28-თებ-2017	9%	5,839	5,573
			22,521	21,492
			228,039	203,346

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებულ სესხებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი მოიცავს 493 ათას და 417 ათას ლარს, შესაბამისად.

2005 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით ჯგუფმა სუბორდინირებული კონვერტირებადი სასესხო ხელშეკრულება გააფორმა ჯგუფის საბოლოო აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმო შპს კონსალტინგ პლიუსთან. მან ჯგუფს გამოუყო სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხი 2%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელმაც 7,000 ათასი აშშ დოლარი (11,141 ათასი ლარი) შეადგინა. სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს გაცემიდან ოცი წლის განმავლობაში.

2004 წლის 2 ოქტომბერს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა შპს ინტერკონსალტინგ პლიუსი, რომელმაც ჯგუფი უზრუნველყო 5,000 ათასი აშშ დოლარის (7,958 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიურ 2% განაკვეთში. სესხის დაფარვის ვადას 2010 წლის 30 მარტი წარმოადგენდა.

2004 წლის 21 ივნისს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა შპს ინტერკონსალტინგ პლიუსი, რომელმაც ჯგუფი უზრუნველყო 10,000 ათასი აშშ დოლარის (15,916 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიურ 2% განაკვეთში. სესხი უნდა დაიფაროს გაცემის დღიდან თხუთმეტ წელიწადში.

2004 წლის 2 ოქტომბერს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა ჯგუფის საბოლოო აქციონერის მიერ კონტროლირებად კომპანიასთან ფინ სერვის XXI-თან, რომელმაც უზრუნველყო ჯგუფი 5,000 ათასი აშშ დოლარის (7,958 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიური 6% განაკვეთში. სესხის დაფარვის ვადაა 2010 წლის 30 მარტი.

2004 წლის 21 ივნისს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა ჯგუფის საბოლოო აქციონერის მიერ კონტროლირებად კომპანიასთან ფინ სერვის XXI-თან, რომელმაც ჯგუფი უზრუნველყო 10,000 ათასი აშშ დოლარის (15,916 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიური 2% განაკვეთში. სესხი უნდა დაიფაროს გაცემის დღიდან თხუთმეტ წელიწადში.

2004 წლის 21 ივნისს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა ჯგუფის საბოლოო აქციონერის მიერ კონტროლირებად კომპანიასთან შპს ჯორჯიან ჰოლდინგთან, რომელმაც ჯგუფი უზრუნველყო 10,000 ათასი აშშ დოლარის (15,916 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიურ 2% განაკვეთში. სესხი უნდა დაიფაროს გაცემის დღიდან თხუთმეტ წელიწადში.

2002 წლის 27 თებერვალს ჯგუფმა კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება გააფორმა ჯგუფის საბოლოო აქციონერის მიერ კონტროლირებად კომპანიასთან შპს კრისტა ენტერპრაიზისთან, რომელმაც ჯგუფი უზრუნველყო 3,500 ათასი აშშ დოლარის (5,571 ათასი ლარის) ოდენობის სესხით წლიურ 6% განაკვეთში. სესხი უნდა დაიფაროს გაცემის დღიდან თხუთმეტ წელიწადში.

კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი ფორმდება კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებით ჯგუფის მთავარი აქციონერის მიერ კონტროლირებადი კომპანიასთან. მასში ჩადებულია ოფცია, რომლის თანახმადაც ჯგუფი უფლებამოსილია ნომინალური ღირებულებით მიყიდოს მსესხებელს ჩვეულებრივი აქციები სესხის ვადის ბოლოსათვის. ოფცია შეადგენს ჯგუფის სააქციო კაპიტალის 25%-ს კონვერსიის თარიღისათვის. 2006 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულებაში ჩადებულმა ოფციამ, რომელიც მოიცავს სესხის კაპიტალის კომპონენტმა შეადგინა 42,458 ათასი ლარი. სესხის თავდაპირველი აღიარებისას სესხის კორექტირება საპროცენტო განაკვეთის ბაზართან შესაბამისობაში შეადგენს 3,817 ათას ლარს, რომელიც შესულია დამატებით გადახდილ კაპიტალში.

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი და ჯგუფის უკანასკნელი აქციონერის მიერ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები, რომლებიც ჯგუფს სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხით უზრუნველყოფენ შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულებაში სესხის საპროცენტო განაკვეთის შეცვლასა და კონვერტირების პირობის ამოღებაზე. 2008 წლის 13 მაისს ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება ამ ცვლილებებზე და ასახეს 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის შემდგომი მოვლენის კორექტირების ეფექტი.

ჯგუფის გაბანკროტების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა დამოკიდებულია ჯგუფის მიერ სხვა კრედიტორებისათვის ვალდებულებების დაფარვაზე.

ეს ვალდებულებები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

23. საწესდებო კაპიტალი

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა შემდეგი რაოდენობით აქციებისაგან თითოეული აქციის ღირებულებით 1,000 ლარი:

	ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი	ავტორიზებული, მაგრამ ჯერ არ გამოშვებული საწესდებო კაპიტალი	გადახდილი საწესდებო კაპიტალი	სულ საწესდებო კაპიტალი
ჩვეულებრივი აქციები	80,000	(25,284)	54,716	54,716

24. ბარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გამოიყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარესაბაღანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არიან ასახული ჯგუფის ბალანსში.

ჯგუფის რისკის მაქსიმალური დაქვემდებარება პირობით ვალდებულებებთან და კრედიტების გაცემის ვალდებულებებთან მიმართებაში მეორე მხარის მიერ გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულებების არ შესრულების და მოთხოვნების გაუფასურების შემთხვევაში, რეზერვი, ან ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი რეზერვი ამ ინსტრუმენტების მოლაპარაკების ფასის ექვივალენტურია.

ჯგუფი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობით ვალდებულებების დანაკარგების რეზერვა შესაბამისად შეადგინა 631 ათასი და 334 ათასი ლარი.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნომინალური და საკონტრაქტო თანხები შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2008 ნომინალური თანხები	31 დეკემბერი 2007 ნომინალური თანხები
პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	38,358	21,886
აკრედიტივები და სხვა ტრანზაქციებითან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები	3,385	4,306
სასესხო და საკრედიტო გამოუყენებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	7,453	10,874
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	49,196	37,066

საკრედიტო ხაზის ლიმიტის არსებობისას კლენტებზე გაცემული სესხების გახანგრძლივება დამტკიცებულია ჯგუფის მიერ შემთხვევის თანახმად, რომელიც ეფუძნება მსესხებელთა ფინანსურ მდგომარეობას, სასესხო მომსახურებას და სხვა პირობებს. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სახის გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები შესაბამისად გულისხმობს 7,453 ათას და 10,874 ათას ლარს.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე – 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული არსებითი ვალდებულებები.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა არსებითი სალიზინგო ვალდებულებები.

სასამართლო დავები – დრო და დრო, ბიზნესის ნორმალური განვითარების პროცესში, ჯგუფი ღებულობდა პრეტენზიებს თავისი კლიენტებისგან და მოწინააღმდეგე მხარეებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი უზრუნველყოფა არ მომხდარა.

გადასახადები – საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი მუხლების არსებობის გამო, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი და ასევე საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე კომპანიის საქმიანობისას შემთხვევითი დასკვნების გაკეთებისას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ამგვარმა უზუსტობებმა თავი შეიძლება იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, გაუფასურების და დანაკარგების რეზერვის ფორმირებასა და გარიგებებში ფასის მანქვნებლების საბაზრო დონის დადგენასთან მიმართებაში. ჯგუფი მიიჩნევს, რომ უკვე დაფარა ყველა გადასახადი და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მომხდარა რეზერვის ფორმირება.

საპენსიო უზრუნველყოფა – დაქირავებული თანამშრომლები პენსიას იღებენ საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდიდან, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნდა არსებული და ყოფილი თანამშრომლების მიმართ არანაირი საპენსიო, პენსიაზე გასვლის შემდგომი სამედიცინო მომსახურების, დაზღვევის ან სხვა რაიმე ვალდებულება.

სამუშაო გარემო – ჯგუფის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოსა და რუსეთის რესპუბლიკას შორის მომხდარი კონფლიქტის გამო ბიზნეს გარემო გაურკვეველია და მუდმივად იცვლება. ჯგუფის ოპერაციები და აქტივები რისკის ქვეშაა პოლიტიკური, ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს ნეგატიური ცვლილებების გამო, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე ჩასწორებას, რომელიც ცვალებადობის შედეგად იჩენს თავს.

უკანასკნელი ცვალებადობა გლობალურ და ფინანსურ ბაზრებზე – ბოლო თვეებში მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრების ცვალებადობა. მრავალი წამყვანი ფინანსური დაწესებულება გაბანკროტდა, შესყიდულ იქნა სხვა ფინანსური დაწესებულებების მიერ, ან მიიღო სახელმწიფო დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ შესაძლოა გაატაროს ღონისძიებები ეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრებზე არსებული არეულობის შედეგად, არსებობს ეკონომიკური გაურკვეველობა როგორც ჯგუფის, ასევე მისი კონტრაგენტებისათვის კრედიტის გაცემის შესაძლებლობასა და ხარჯებთან მიმართებაში, ასევე ახლო მომავალში ეკონომიკური ცვალებადობის გაგრძელების პოტენციალი, და შედეგად იმის შესაძლებლობა, რომ აქტივები არ იქნება ამოღებული ჩვეული საქმიანობის პროცესში, და შესაბამისად გავლენა ექნება ჯგუფის მომგებიანობაზე.

ფინანსური აქტივების აღდგენის უნარი – კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრებზე ბოლო პერიოდის ეკონომიკური არეულობის შედეგად და შესაბამისად საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის ეკონომიკური გაურკვეველობის გამო არსებობს პოტენციალი, რომ აქტივები არ აღდგება მათი ნარჩენი ღირებულებით ჩვეული საქმიანობის პროცესში.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 618,413 ათასი ლარი (2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 375,693 ათასი ლარი). ამ ფინანსური აქტივების აღდგენა დამოკიდებულია ეფექტურობაზე, ასევე ფისკალურ ღონისძიებებსა და სხვა ქმედებებზე, რომლებიც ჯგუფის კონტროლს არ ექვემდებარება და ეკონომიკის აღდგენისა სტაბილურობის მისაღწევად ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ჯგუფის ფინანსური აქტივების აღდგენა განისაზღვრება ანგარიშგების შედგენის დღისათვის არსებული პირობებსა და არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

25. შემდგომი მოვლენები

2009 წლის 30 მარტს ბანკმა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან გააფორმა ხუთ წლიანი საკრედიტო ხელშეკრულება 10,000 ათას აშშ დოლარზე, რომელიც ბანკს ორ თანაბარი ტრანშად გადაეცემა წერილი და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად.

2009 წლის 9 მარტს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება ბანკის საწესდებო კაპიტალში მონაწილეობაზე. 2008 წლის 24 აპრილით დათარიღებული ბრძანების წერილის თანახმად ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა შეისყიდა ბანკის აქციების 25%-ი და დამატებით სააქციო კაპიტალში ერთი აქცია.

26. ოპერაციები ასოცირებულ მხარეებთან

ასოცირებული მხარეები და ოპერაციები ასოცირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო აუდიტორულ სტანდარტში №24 „ასოცირებული მხარეების გაშიფვრა“, წარმოადგენენ:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ჯგუფს, კონტროლდებიან მის მიერ ან ჯგუფთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, მფლობელი კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოებს, რომელთა საქმიანობაზე ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ჯგუფის, ან მისი მფლობელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (დ) ა) ან გ) პუნქტში ნახსენები პირების უახლოეს ნათესავებს;
- (ე) მხარეები, რომლებიც გ) და დ) პუნქტში ნახსენები პირების მიერ კონტროლდებიან, ან ნაწილობრივ კონტროლდებიან, მათი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ ზემოთნახსენებ პირებს;

თითოეული ასოცირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ტრანზაქციები ბანკსა და მის შვილობილ კომპანიას შორის, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს, იქნა გაუქმებული კონსოლიდაციისას და არ არის შეტანილი ქვემოთ წარდგენილ შენიშვნაში. დეტალური ტრანზაქციები ჯგუფსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2008		31 დეკემბერი 2007	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
კლიენტებზე გაცემული სესხები	24,965	390,792	16,430	353,477
- სხვა დაკავშირებული მხარეები	24,965		16,430	
გაუფასურების რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	(260)	(19,866)	(350)	(11,160)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(260)		(350)	
კლიენტთა ანგარიშები	200,430	255,378	18,230	70,357
- აქციონერები	195,336		537	
- უმაღლესი რანგის პერსონალი	62		1,310	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	5,032		16,383	
სუბორდინირებული სესხები	228,039	228,039	203,346	203,346
- აქციონერები	228,039		203,346	
რეზერვები	1	631	-	334
- სხვა დაკავშირებული მხარეები	1		-	
გამოუყენებელი საკრედიტო და სასესხო ვალდებულებები	1,168	7,453	-	10,874
- სხვა დაკავშირებული მხარეები	1,168		-	
აკრედიტივები	2,741	3,385	-	4,306
- სხვა დაკავშირებული მხარეები	2,741		-	
გაცემული გარანტიები	3,529	38,358	-	21,886
- სხვა დაკავშირებული მხარეები	3,529		-	

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება მოიცავს:

	31 დეკემბერი 2008		31 დეკემბერი 2007	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპენსაცია:				
- ხელმძღვანელობის მოკლევადიანი ანაზღაურება	643	7,452	581	4,944

2008 და 2007 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კონსოლიდირებულ მოგება ზარალის უწყისში წარმოდგენილია შემდეგი თანხები, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შედეგად გაჩნდნენ:

	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ტრანზაქციები		2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ტრანზაქციები	
	დაკავშირებული მხარეებთან	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეებთან	სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	2,030	50,941	1,974	41,117
- სხვა დაკავშირებული მხარეები	2,030		1,974	
საპროცენტო ხარჯი	(12,696)	(19,460)	(11,841)	(12,679)
- აქციონერები	(12,664)		(11,307)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(32)		(534)	
შესაძლო გაუფასურების რეზერვის ფორმირება საპროცენტო სარგებლის მომტან აქტივებზე	(260)	(8,876)	(350)	(1,614)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(260)		(350)	
საკომისიო შემოსავალი	255	7,192	335	7,442
- აქციონერები	4		9	
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	1			
- სხვა დაკავშირებული მხარეები	250		326	
სხვა შემოსავალი	292	3,215	-	2,264
- სხვა დაკავშირებული მხარეები	292		-	

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს ტრანზაქციის მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად. წარმოდგენილმა შეფასებებმა შესაძლებელია არ ასახონ თანხები, რომლებიც ჯგუფს შეიძლება მიეღოს მისი ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტის ფაქტიური რეალიზაციისას.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ჯგუფის შესაბამის კონსოლიდირებულ საბალანსო მონაცემებთან ერთად:

	31 დეკემბერი 2008		31 დეკემბერი 2007	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ნაშთები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,414	36,414	20,580	20,580
მოთხოვნები ბანკების მიმართ	210,123	210,123	11,619	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	370,926	370,926	342,317	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	145	145	92	92
ვალდებულებები ბანკების მიმართ	25,275	25,275	6,184	6,184
კლიენტთა ანგარიშები	255,378	255,378	70,357	70,357
სუბირდინირებული სესხები	228,039	228,039	203,346	203,346

28. რეგულირების საკითხები

შემდეგი ცხრილი აანალიზებს ჯგუფის მარეგულირებელი კაპიტალის რესურსებს კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის:

	2008	2007
მოძრაობები პირველად კაპიტალში:		
1 იანვარს	104,523	87,461
წმინდა მოგება	14,810	21,498
გუდვილი	5,246	(5,246)
უმცირესობის წილი	(106)	810
31 დეკემბერს	124,473	104,523
	2008	2007
რეგულირების კაპიტალის შემადგენლობა:		
პირველადი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	54,716	54,716
დამატებითი შენატანი კაპიტალში	3,817	3,817
გაუნაწილებელი მოგება	65,236	50,426
გუდვილი	-	(5,246)
უმცირესობის წილი	704	810
სულ პირველადი კვალიფიცირებადი კაპიტალი	124,473	104,523
სუბორდინირებული სესხი (პირველადი კაპიტალის 50%-მდე შეზღუდული)	62,237	52,262
ფინანსურ ქმედებებში ჩართულ კომპანიებში ინვესტიციების გამოკლებით	(38)	(38)
სულ რეგულირების კაპიტალი	186,672	156,747
კაპიტალის კოეფიციენტი:		
პირველადი კაპიტალი	26.92%	26.65%
სულ კაპიტალი	40.38%	39.96%

კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად სტანდარტებით დაწესებული რაოდენობრივი საზომები ჯგუფისგან მოითხოვს მინიმალური ნაშთების და კოეფიციენტების შენარჩუნებას მთლიანი კაპიტალისა (8%) და პირველადი კაპიტალის (4%) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა.

კოეფიციენტის დათვლა გახორციელდა ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრული პრინციპების მიხედვით.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მთლიანი კაპიტალის გამოთვლისას კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის ჯგუფმა დაამატა პირველადი კაპიტალის 50%-ით შეზღუდული სუბორდინირებული სესხი. ჯგუფის გაკორტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა ექვემდებარება სხვა კრედიტორებისათვის ჯგუფის მიერ გადახდის ვალდებულებას.

29. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი საკუთარ კაპიტალს მართავს რათა შეძლოს საწარმოს მუშაობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე გაგრძელება, როდესაც სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალურს გახდის აქციონერების უკუგებას.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს სესხს, რომელიც 22-ე შენიშვნაში მოიცავს სუბორდინირებულ სესხს და კაპიტალს, რომელიც ექვემდებარება დამფუძნებლების აქციონერებს და მოიცავს გამოშვებულ კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც წარმოდგენილია კონსოლიდირებულ უწყისში კაპიტალში ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელთა საბჭო კაპიტალის სტრუქტურას ნახევარ წელიწადში ერთხელ განიხილავს. საბჭო ითვალისწინებს კაპიტალის ღირებულებას და თითოეული კაპიტალის კლასთან დაკავშირებულ რისკს. ხელმძღვანელთა საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით ჯგუფი ახორციელებს საერთო კაპიტალის სტრუქტურის დაბალანსებას დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვების და ახალი სესხები გაცემით, ან არსებული სესხების დაფარვით.

ჯგუფის საერთო კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2007 წლიდან.

30. რისკების მართვის პოლიტიკა

რისკების მართვის საკითხი ფუნდამენტალურია როგორც საბანკო ბიზნესისათვის, ასევე ჯგუფის ოპერაციებისათვის. ჯგუფის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო ცვალებადობის რისკი

ჯგუფი აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია რისკი მართვის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა. ამისათვის ჯგუფმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ჯგუფი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს შეასრულოს ვალდებულება და შედეგად მეორე მხარეს მიაღება ფინანსური ზარალი.

საკრედიტო რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ხელისუფლების, ჯგუფის საკრედიტო კომიტეტის, რისკების მართვის განყოფილების და ჯგუფის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაცემამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დადგენა, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება ფილიალის რისკის მართვის მენეჯერის და რისკების მართვის განყოფილების მიერ. ყოველდღიური რისკის შეფასებას ახორციელებს საკრედიტო განყოფილების უფროსი და ფილიალის საკრედიტო განყოფილება.

ერთ მსესხებელზე, მსესხებელთა ჯგუფზე და სექტორების მიხედვით გასაცემი მაქსიმალური თანხის განსაზღვრის მიზნით, ჯგუფის მიერ მტკიცდება მისაღები საკრედიტო რისკის დონე. ლიმიტები საკრედიტო რისკის დონეზე მსესხებლის, ან პროდუქტის მიხედვით მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კვარტალში ერთხელ. დაქვემდებარება მსესხებელზე ბანკებისა და ბროკერების ჩათვლით შემდგომში იზღუდება ქვე-ლიმიტებით, რომელიც მოიცავს საბალანსო და გარე საბალანსო დონეებს, რომელიც დგინდება საკრედიტო კომიტეტის მიერ. ლიმიტების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად.

როდესაც საჭიროება მოითხოვს და ძირითადად, სესხების უმეტესობის შემთხვევაში, ჯგუფი მოიპოვებს გირაოს და კორპორატიულ გარანტიებს, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს პერსონალური სესხები, სადაც ეს არ ხერხდება. ამგვარი რისკი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს და ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კრედიტის გაფართოების ვალდებულება წარმოადგენს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით არსებული კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს. გარე-საბალანსო უწყისის ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც დანაკარგების ალბათობა, გამომდინარე კონტრაგენტის უუნარობიდან, შეასრულოს საკონტრაქტო პირობები. რაც შეეხება კრედიტის გაფართოების ვალდებულების საკრედიტო რისკს, ჯგუფი პოტენციურად დგას მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობის თანხის დაკარგვის საშიშროების წინაშე. თუმცა დანაკარგის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, რადგან კრედიტის გაფართოების ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი, გამომდინარე კლიენტების მიერ სპეციფიური საკრედიტო სტანდარტების დაცვიდან. ჯგუფი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორც საბალანსო უწყისის ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს პროცედურებს სესხის დასამტკიცებლად, ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ძირითადად აქვთ უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

მაქსიმალური დაქვემდებარება

ჯგუფის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარესაბალანსო აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას. საბალანსო უწყისში ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ფინანსური გარანტიებისა და სხვა გარე საბალანსო აქტივებისათვის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება, წარმოადგენს თანხას, რომელიც ჯგუფმა უნდა გადაიხადოს საგარანტიო მოვლენის დადგომის შემთხვევაში.

2008 წლის 31 დეკემბერი:

	მაქსიმალური დაქვემდებარება
მოთხოვნები ბანკებზე	210,123
კლიენტებზე გაცემული სესხები	370,926
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	145
სხვა ფინანსური აქტივები	805

2007 წლის 31 დეკემბერი:

	მაქსიმალური დაქვემდებარება
მოთხოვნები ბანკებზე	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	92
სხვა ფინანსური აქტივები	1,085

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდებიან მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცა შიდა სააგენტო “Fitch”-მა. უმაღლესი შეფასება არის ააა. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასება ააა-დან ბბბ-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება ბბბ-ზე ნაკლებია კლასიფიცირდებიან, როგორც სპეკულატიური ზღვარის მქონენი.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები სებ-ში შესაბამისად შედგენს 13,678 ათას და 12,085 ათას ლარს. საკრედიტო რეიტინგი საქართველოში საერთაშორისო სააგენტოების მიხედვით 2008 წელს შეესაბამებოდა ინვესტიციების ბბ დონეს.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კუთვნილი ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

	ააა	აა	ა	ბბ	<ბბ	შეუფასებელი	სულ 31 დეკემბერი 2008
მოთხოვნები ბანკებზე	-	162,368	30,770	-	-	16,985	210,123
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	370,926	370,926
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	-	-	-	-	-	145	145
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	805	805

2007 წლის 31 დეკემბერი:

	ააა	აა	ა	ბბ	<ბბ	შეუფასებელი	სულ 31 დეკემბერი 2007
მოთხოვნები ბანკებზე	-	5,727	5,605	-	77	210	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	342,317	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	-	-	-	-	-	92	92
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	1,085	1,085

საბანკო სექტორი ექვემდებარება საკრედიტო რისკს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ბანკთაშორის დეპოზიტებზე. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში რისკების მოცულობა კონცენტრირდება საქართველოს საზღვრებში. დაქვემდებარებას მონიტორინგი რეგულარულად უტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი კრედიტის ლიმიტისა და კრედიტუნარიანობის დაცვა.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALMC”) აკონტროლებს რისკს კანონმდებლობაში და აფასებს მის გავლენას ჯგუფის საქმიანობაზე. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს ჯგუფს, მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოში საინვესტიციო გარემოს ცვალებადობიდან გამომდინარე პოტენციური დანაკარგები.

აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	ეგთო-ს ქვეყნები	სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი 2008 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ნაშთები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,414	-	-	36,414
მოთხოვნები ბანკების მიმართ	304	9,995	199,824	210,123
კლიენტებზე გაცემული სესხები	370,737	189	-	370,926
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	145	-	-	145
სხვა ფინანსური აქტივები	650	67	88	805
სულ ფინანსური აქტივები	408,250	10,251	199,912	618,413
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკების მიმართ	2,909	2	22,364	25,275
კლიენტთა ანგარიშები	255,172	54	152	255,378
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,999	54	87	2,140
სუბორდინირებული სესხები	222,200	5,839	-	228,039
სულ ფინანსური ვალდებულებები	482,280	5,949	22,603	510,832
წმინდა პოზიცია	(74,030)	4,302	177,309	
	საქართველო	ეგთო-ს ქვეყნები	სხვა არა ეგთო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი 2007 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ნაშთები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	20,580	-	-	20,580
მოთხოვნები ბანკების მიმართ	79	1,497	10,043	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	332,187	76	10,054	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	92	-	-	92
სხვა ფინანსური აქტივები	1,085	-	-	1,085
სულ ფინანსური აქტივები	354,023	1,573	20,097	375,693
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკების მიმართ	3,602	2	2,580	6,184
კლიენტთა ანგარიშები	63,127	-	7,230	70,357
სხვა ფინანსური ვალდებულებები	288	-	-	288
სუბორდინირებული სესხები	197,772	5,574	-	203,346
სულ ფინანსური ვალდებულებები	264,789	5,576	9,810	280,175
წმინდა პოზიცია	89,234	(4,003)	10,287	

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ავმკ”) აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს, ვადიანობის ანალიზის, და ჯგუფის სტრატეგიის შემუშავებით შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდურობის კონტროლირება ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულის ბაზარზე ფულადი სახსრების დინების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ჯგუფი ახორციელებს კლიენტების და ბანკის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივ-პასივების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ პროპორციაზე გასანადღებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორის და სხვა სასახო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განადღება მოთხოვნის დონის მოულოდნელი წარმოქმნისას.

შემგომ მოდის ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი:

- (ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და
- (ბ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი საბალანსო ოპერაციებზე წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში. ქვემოთ წაროდგენილი მონაცემები ემყარება ჯგუფის უმაღლესი რანგის მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2008 წლის 31 დეკემბერი სულ
ფინანსური აქტივები							
მოთხოვნები ბანკების მიმართ	206,867	449	2,807	-	-	-	210,123
კლიენტებზე გაცემული სესხები	24,954	3,366	56,085	214,851	71,670	-	370,926
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ფინანსური აქტივები	231,821	3,815	58,892	214,851	71,670	-	581,049
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,414	-	-	-	-	-	36,414
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	-	-	-	-	-	145	145
სხვა ფინანსური აქტივები	454	351	-	-	-	-	805
სულ ფინანსური აქტივები	268,689	4,166	58,892	214,851	71,670	145	618,413
ფინანსური ვალდებულებები							
მოთხოვნები ბანკების მიმართ	152	6,308	2,352	-	16,463	-	25,275
კლიენტთა ანგარიშები	3,502	4,526	14,513	153	-	-	22,694
სუბორდინირებული სესხები	-	-	-	71,925	156,114	-	228,039
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ფინანსური ვალდებულებები	3,654	10,834	16,865	72,078	172,577	-	276,008
კლიენტთა ანგარიშები	232,684	-	-	-	-	-	232,684
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,140	-	-	-	-	-	2,140
სულ ფინანსური ვალდებულებები	238,478	10,834	16,865	72,078	172,577	-	510,832
ლიკვიდობა	30,211	(6,668)	42,027	142,773	(100,907)		
საპროცენტო სარგებლის მგრძობიარობა	228,167	(7,019)	42,027	142,773	(100,907)		
საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძობიარობა	228,167	221,148	263,175	405,948	305,041		
საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძობიარობის შეფარდება მთლიან აქტივებთან	36%	35%	41%	64%	48%		

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2007 წლის 31 დეკემბერი სულ
ფინანსური აქტივები							
მოთხოვნები ბანკების მიმართ	10,535	125	-	-	959	-	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,980	18,202	62,038	188,726	70,371	-	342,317
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ფინანსური აქტივები	13,515	18,327	62,038	188,726	71,330	-	353,936
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	20,580	-	-	-	-	-	20,580
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	-	-	-	-	-	92	92
სხვა ფინანსური აქტივები	1,085	-	-	-	-	-	1,085
სულ ფინანსური აქტივები	35,180	18,327	62,038	188,726	71,330	92	375,693
ფინანსური ვალდებულებები							
მოთხოვნები ბანკების მიმართ	2,317	160	2,251	-	1,456	-	6,184
კლიენტთა ანგარიშები	3,224	3,807	9,139	53	-	-	16,223
სუბორდინირებული სესხები	-	-	-	132,347	70,999	-	203,346
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ვალდებულებები	5,541	3,967	11,390	132,400	72,455	-	225,753
კლიენტთა ანგარიშები	54,134	-	-	-	-	-	54,134
სხვა ფინანსური ვალდებულებები	288	-	-	-	-	-	288
სულ ფინანსური ვალდებულებები	59,963	3,967	11,390	132,400	72,455	-	280,175
ლიკვიდობა	(24,783)	14,360	50,648	56,326	(1,125)		
საპროცენტო სარგებლის მგრძობიარობა	7,974	14,360	50,648	56,326	(1,125)		
საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძობიარობა	7,974	22,334	72,982	129,308	128,183		
საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძობიარობის შეფარდება მთლიან აქტივებთან	2%	6%	19%	33%	33%		

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის შემდგომი ანალიზი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში ფასს 7-ის შესაბამისად. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება ბალანსში ასახულ თანხებს, ვინაიდან ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზს, რომელიც სრულად უთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (პროცენტის გადახდის ჩათვლით), რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად არ აისახება ბალანსში.

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსა- ზღვრელი ვადიანობა	2008 წლის 31 დეკემბერი სულ
ფინანსური ვალდებულებები								
მოთხოვნები ბანკებზე	8%	595	750	8,930	18,337	3,747	-	32,359
კლიენტთა ანგარიშები	8%	1,638	4,111	10,876	157	8,548	-	25,330
სუბორდინირებული სესხი	9%	1,094	3,961	15,425	141,330	178,604	-	340,414
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ფინანსური აქტივები		3,327	8,822	35,231	159,824	190,899	-	398,103
კლიენტთა ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები		231,931	-	-	-	-	-	231,931
		2,140	-	-	-	-	-	2,140
სულ ფინანსური ვალდებულებები		237,398	8,822	35,231	159,824	190,899	-	632,927

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსა- ზღვრელი ვადიანობა	2007 წლის 31 დეკემბერი სულ
ფინანსური ვალდებულებები								
მოთხოვნები ბანკებზე	8%	2,443	259	2,443	191	1,111	-	6,447
კლიენტთა ანგარიშები	7%	689	3,634	6,714	-	4,043	-	15,080
სუბორდინირებული სესხი	6%	937	2,031	13,106	135,923	170,988	-	322,985
სულ საპროცენტო სარგებლის მომტანი ფინანსური აქტივები		4,069	5,924	22,263	136,114	176,142	-	344,512
კლიენტთა ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები		54,134	-	-	-	-	-	54,134
		288	-	-	-	-	-	288
სულ ფინანსური ვალდებულებები		58,491	5,924	22,263	136,114	176,142	-	398,934

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და სხვა ფასების დადგენის რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფზე. ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებში და იმ რისკებში, რომლებსაც იგი ექვემდებარება, ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებს, ვინაიდან საწარმოები ჯგუფისაგან სესხებს იღებენ როგორც ფიქსირებული, ასევე მცოცავი განაკვეთებით. ჯგუფი ამ რისკებს მართავს ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის მქონე სესხების შერევის საშუალებით.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (აგმკ) აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ფინანსური კონტროლის განყოფილება აწარმოებს ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების რისკებს ჯგუფი მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვალებადობის შედეგად. ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე“ დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ჯგუფის წამყვან ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე აქტივების ღირებულებაზე დაფუძნებით 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2008 წლის 31 დეკემბერი		2007 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი +2%	საპროცენტო განაკვეთი -2%	საპროცენტო განაკვეთი +2%	საპროცენტო განაკვეთი -2%
ფინანსური აქტივები:				
მოთხოვნები ბანკების მიმართ	363	(363)	528	(528)
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,102	(7,102)	5,828	(5,828)
დაფარვის ვადადღე ფლობილი ინვესტიციები	-	-	25	(25)
ფინანსური ვალდებულებები:				
ვალდებულებები ბანკების მიმართ	(813)	813	(51)	51
კლიენტთა ანგარიშები	(1,732)	1,732	(1,492)	1,492
სუბორდინირებული სესხები	(3,906)	3,906	(3,343)	3,343
წმინდა გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე	1,014	(1,014)	1,495	(1,495)

გავლენა აქციონერთა კაპიტალზე:

	2008 წლის 31 დეკემბერი		2007 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი +2%	საპროცენტო განაკვეთი -2%	საპროცენტო განაკვეთი +2%	Interest rate -2%
ფინანსური აქტივები:				
მოთხოვნები ბანკების მიმართ	308	(308)	422	(422)
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,037	(6,037)	4,662	(4,662)
დაფარვის ვადადღე ფლობილი ინვესტიციები	-	-	20	(20)
ფინანსური ვალდებულებები:				
ვალდებულებები ბანკების მიმართ	(691)	691	(41)	41
კლიენტთა ანგარიშები	(1,472)	1,472	(1,193)	1,193
სუბორდინირებული სესხები	(3,320)	3,320	(2,674)	2,674
წმინდა გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე	862	(862)	1,196	(1,196)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ექვემდებარება პრევალირებული უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვალებადობასთან წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი დოლარი 1 = 1.6670 ლარი	ევრო ევრო 1 = 2.3648 ლარი	სხვა ვალუტა	სულ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეო ბით
ფინანსური აქტივები					
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	18,785	15,366	2,250	13	36,414
მოთხენები ბანკების მიმართ	100	92,160	117,696	167	210,123
კლიენტებზე გაცემული სესხები გასაყიდად არსებული ინვესტიციები	119,393	247,969	3,564	-	370,926
სხვა ფინანსური აქტივები	145	-	-	-	145
	445	223	131	6	805
სულ ფინანსური აქტივები	138,868	355,718	123,641	186	618,413
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები ბანკების მიმართ	80	25,186	9	-	25,275
კლიენტთა ანგარიშები	14,983	112,799	127,467	129	255,378
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8	2,039	21	72	2,140
სუბორდინირებული სესხები	-	228,039	-	-	228,039
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,071	368,063	127,497	201	510,832
ღია სავალუტო პოზიცია	123,797	(12,345)	(3,856)	(15)	

	ლარი	დოლარი დოლარი 1 = 1.5916 ლარი	მშრო მშრო 1 = 2.3315 ლარი	სხვა ვალუტა	სულ 2007 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები					
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	11,130	8,525	780	145	20,580
მოთხენები ბანკების მიმართ	48	8,545	2,930	96	11,619
კლიენტებზე გაცემული სესხები	109,345	232,473	499	-	342,317
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	92	-	-	-	92
სხვა ფინანსური აქტივები	609	469	7	-	1,085
სულ ფინანსური აქტივები	121,224	250,012	4,216	241	375,693
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები ბანკების მიმართ	1,867	4,314	3	-	6,184
კლიენტთა ანგარიშები	25,789	36,217	8,307	44	70,357
სხვა ფინანსური ვალდებულებები	43	233	12	-	288
სუბორდინირებული სესხები	-	203,346	-	-	203,346
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,699	244,110	8,322	44	280,175
ღია სავალუტო პოზიცია	93,525	5,902	(4,106)	197	

სავალუტო რისკის მგრძობიარობა

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ჯგუფის მგრძობიარობას 5%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარში ლართან მიმართებაში. 5% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების შეფასებას. მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტის დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 5%-იანი ცვლილებით. მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს გარე სესხებსა და ჯგუფში განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებს, სადაც სესხის დენომინირება ხდება მსესხებლის, ან გამსესხებლის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

გავლენა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	ლარი/დოლარი +5%	ლარი/დოლარი -5%	ლარი/დოლარი +5%	ლარი/დოლარი -5%
გავლენა მოგებასა და ზარალზე	198	(198)	1,086	(1,086)
გავლენა კაპიტალზე	168	(168)	869	(869)

მგრძობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას ძირითად დაშვებებში, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძობიარობა არახაზოვანია და უფრო დიდი, ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან.

მგრძობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ჯგუფის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიური გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები საბალანსო უწყისში საბაზრო ღირებულებით აღირიცხებიან. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.